

## ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ევროპის საფეხბურთო ასოციაციის კავშირში წარადგინა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის 22 ფეხბურთელის სია 13 ოქტომბრის მატჩისათვის იტალიისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის. აღნიშნულ სიაში შეტანილი არიან შემდეგი მოთამაშეები:

**მეკარეები** — ლ. იაშინი („დინამო", მოსკოვი), რ. ურუშაძე („ტორპედო", ქუთაისი), ი. ბაუქა (ცსკა); **დაცვა** — ე. დუბინსკი, ა. შესტერნევი (ცსკა), ა. კორნეევი, ა. კრუტიკოვი („სპარტაკი", მოსკოვი), ლ. ოსტროვსკი („დინამო", კიევი), ვ. შუსტიკოვი („ტორპედო", მოსკოვი); **ნახევარდაცვა** — ვ. ვორონინი („ტორპედო", მოსკოვი), გ. ლოგოფეტი („სპარტაკი", მოსკოვი), ა. ბიბა („დინამო", კიევი), ვ. კოროლენკოვი („დინამო", მოსკოვი); **თავდასხმა** — ი. ჩისლენკო, გ. გუსაროვი, („დინამო", მოსკოვი), ი. სევიდოვი, გ. ხუსაინოვი („სპარტაკი", მოსკოვი), ს. მეტრეველი, მ. მესხი („დინამო", თბილისი), ვ. პონედელნიკი (სკა, როსტოვი), ვ. ივანოვი („ტორპედო", მოსკოვი), ე. მალაფეევი („დინამო", მინსკი).

## სპარტაკიადა ტექნიკურ სახეობებში

ჩვენს ქვეყანაში მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის გაუმჯობესების, სპორტის ტექნიკურ სახეობებში მოსახლეობის ფართოდ მიზიდვის, დოსააფის სპორტსმენთა ტექნიკური მომზადების დონის ამაღლების მიზნით 1964-1965 წლებში ტარდება III საკავშირო სპარტაკიადა სპორტის ტექნიკურ სახეობებში.

სპარტაკიადის ფინალს, რომელიც მოსკოვში გაიმართება, წინ უნდა უსწრებდეს მასობრივი შეჯიბრებანი წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში, რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო და მოკავშირე რესპუბლიკების სპარტაკიადები. სპარტაკიადების პროგრამაში შეტანილი უნდა იქნას სამხედრო, საპარაშუტო, საპლანერო, საავტომობილო, მოტო, რადიო, წყალქვეშა, სასროლი სპორტი, საზღვაო მრავალჭიდი, საწყალოსნო-სამოტორო სპორტი, აგრეთვე ავტო, ავია და საზღვაო მოდელიზმი.

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც სპორტკავშირის რაიონულ, საქალაქო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ საბჭოებს ავალებს დოსააფის შესაბამის კომიტეტებთან ერთად ყველაფერი გააკეთონ სპორტის ტექნიკურ სახეობებში III სპარტაკიადის მაღალ დონეზე, ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

6 ოქტომბერი

კვირა, 1963 წ. № 198 (2303)

გამოცემის მე-20 წელი.

ფასი 3 კაპ.

## სენსაცია და კანონზომიერებანი

საფრანგეთის კალათბურთელთა ნაკრების ვიზიტი საბჭოთა კავშირში მიზნად ისახავდა გუნდის საბრძოლო მზადყოფნის შემოწმებას ევროპის პირველობის წინ. სწორედ ამას გაუსვა ხაზი ფრანგების მწვრთნელმა ჟურნალისტებთან საუბარში. ნაკრების ხელმძღვანელობა ძირითადად კმაყოფილი დარჩა მოსკოვში ჩატარებული მატჩებით, ამიტომ ვროცლავში ფრანგები გარკვეული იმედებით ჩავიდნენ, ამასთან ნაკრებს შეემატნენ მაღალი კლასის კალათბურთელები რა და ბაიე, რომლებიც მოსკოვში არ გამოდიოდნენ.

ერთი სიტყვით, ფრანგები პოლონეთს საბრძოლო განწყობით ეწვივნენ და ...სენსაციური დამარცხებაც განიცადეს. საფრანგეთის ნაკრებმა ყველა პროგნოზის საწინააღმდეგოდ წააგო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკლებად ცნობილ გუნდთან — 49:63 და ტურნირი უსიამოვნო ნოლით დაიწყო.

სხვა მოულოდნელობა ჩემპიონატის პირველ დღეს არ ყოფილა. იუგოსლავიამ, რომელსაც სპეციალისტები ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად თვლიან, სარეკორდო ანგარიშით დაამარცხა ჰოლანდიის გუნდი (107:62) და დაამტკიცა, რომ ჰყავს თავდასხმის უძლიერესი ხაზი. ბულგარელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მოუგეს ისრაელის ნაკრებს — 79:58.

საბჭოთა კალათბურთელთა პირველი მეტოქე ფინეთის გუნდი იყო. ჩვენმა ნაკრებმა ტაიმი მოიგო ანგარიშით 38:23. შემდგომში გუნდმა კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა და გაიმარჯვა ანგარიშით 75:53.



## გადაუდებელი საქმე

★

### რესპუბლიკის სპორტკავშირის პრეზიდიუმში

★

ამას წინათ საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი 1963 წელს სპორტის ოსტატთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ აღნიშნული გეგმების და ვალდებულებათა შესრულება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის რესპუბლიკაში მომზადებული იყო მხოლოდ 63 სპორტის ოსტატი ვალდებულებათა გეგმით გათვალისწინებული 265-ის ნაცვლად, სპორტსმენ-თანრიგოსანთა გეგმა კი განაღდებულია მხოლოდ 50-55 პროცენტით. ასე რომ, გეგმის შესასრულებლად რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა წლის ბოლომდე უნდა მოასწრონ 1 ათასამდე პირველთანრიგოსნის, 5000-ზე მეტი მეორეთანრიგოსნის, 23 ათასი მესამეთანრიგოსნისა და 9000 მოზარდთა თანრიგის მქონე სპორტსმენის მომზადება.

პრეზიდიუმზე აღინიშნა, რომ გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩებიან ჭიათურის, საგარეჯოს, თელავის, გარდაბნის, დუშეთის, მარნეულის, თეთრი წყაროსა და მესტიის რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციები, აგრეთვე სპორტსაზოგადოებები „ბურევესტნიკი", „სპარტაკი", „დინამო" და „ლოკომოტივი".

ასე მაგალითად, ჭიათურის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გეგმით გათვალისწინებული 5 პირველთანრიგოსნის ნაცვლად მოამზადეს მხოლოდ ერთი. 50 პროცენტით შეასრულეს მეორეთანრიგოსანთა მომზადების გეგმები რუსთავის, ბორჯომის, გარდაბნის, ცაგერისა და ცხაკაიას რაიონებმა. მსგავსი მდგომარეობა აქვთ მესამე და მოზარდ თანრიგოსანთა მომზადებაში წყალტუბოს, ხილნალის, ყაზბეგის, სამტრედიის, ზესტაფონის, კასპისა და სხვა რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა უმრავლესობა მეტად ნელი ტემპებით ასრულებს სპორტის ოსტატთა მომზადების გეგმებს. აქ დროულად არ აფორმებენ სათანადო დოკუმენტებს ოსტატობის მისანიჭებლად. აჭიანურებენ ამ პროცესს. სწორედ ამის შედეგია, რომ მაგალითად, „ბურევესტნიკს" გეგმით გათვალისწინებული 70 სპორტის ოსტატის ნაცვლად მომზადებული ჰყავს მხოლოდ 20, „დინამოს" — 31 ნაცვლად—14, „განთიადს" — 20 ნაცვლად —7, „სპარტაკს" და „კოლმეურნეს" — 22 ნაცვლად — 3-3, „ლოკომოტივს" — 12 ნაცვლად — 3, „შრომითი რეზერვებს" — 14 ნაცვლად — 2.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამოსასწორებლად პრეზიდიუმმა დაავალა სპორტკავშირისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებს მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა გადაჭარბებით იქნას შესრულებული 1963 წლის სპორტის ოსტატთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმები და ვალდებულებანი. ამ მიზნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოების მიერ საკლასიფიკაციო და სამატჩო შეჯიბრებების ჩატარება. პრეზიდიუმმა მიუთითა ადგილობრივ სპორტულ სექციებსა და რესპუბლიკურ ფედერაციებს გაამახვილონ ყურადღება სპორტულ სახეობებში გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების პროცესზე, გააპიროვნონ პასუხისმგებელი პირნი ამ პროცესის კონტროლისათვის.

## უკანასკნელ სტარტზე

ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს დამყარებულ იქნა კიდევ სამი რეკორდი. ვაჟთა ესტაფეტაში 4×1500 მეტრზე პირველ ეტაპზე სტარტი აიღო ვ. კარაულოვმა. მან თავისი ეტაპი 3.51, წუთში გაირბინა. კიდევ უფრო სწრაფი იყო მეორე ეტაპზე მორბენალი პ. ვარაკი — 3.49,8. მართალია, ს. სიმბირცევმა მესამე ეტაპზე ერთგვარად შეამცირა საკავშირო რეკორდის გაუმჯობესების შანსი, მაგრამ მეოთხე ეტაპზე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა ვ. სავინკოვმა გამოასწორა თანაგუნდელის ჩამორჩენა და როცა ესტაფეტა ფინიშზე მიიტანა, წამმზომებმა აღნიშნეს ახალი საკავშირო რეკორდი — 15.18,0.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ალპინიზმის აკვანი საქართველოში დაირწა. ცნობილი სპორტსმენისა და მეცნიერის გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით 40 წლის წინათ დაპყრობილ იქნა მყინვარწვერი. ამ თარიღს წელს საზეიმოდ აღნიშნავენ საბჭოთა ალპინისტები. თბილისში მოეწყობა საკავშირო და საქართველოს ალპინისტური ფედერაციების საზეიმო პლენუმი, რომელსაც დაესწრებიან საბჭოთა კავშირის გამოჩენილი მთამსვლელები.

პლენუმი დაიწყება 19 ოქტომბერს. მეორე დღეს იგი მუშაობას განაგრძობს ყაზბეგში, საიდანაც სტარტი მიეცა პირველ საბჭოთა ასვლას. თბილისში მოეწყობა ალპინიზმის თემაზე შესრულებული მხატვრული ნაწარმოებებისა და ფოტოსურათების გამოფენა. პლენუმის დღეებში ნაჩვენები იქნება ალპინისტური კინოსურათები, გაიმართება საჩვენებელი შეჯიბრება კლდეზე ცოცვაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის სპორტული ორგანიზაციები აწყობენ საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ალპინიადებს. უნივერსიტეტის სტუდენტთა ალპინიადაში მონაწილეობას მიიღებენ მყინვარწვერზე პირველი ექსპედიციის მონაწილე ქალები: ა. ჯაფარიძე, მ. ტყავაძე, მ. ბეჟანიშვილი, ა. ნიკოლაიშვილი და სხვანი.

## საჭადრაკო ოლიმპიადაზე

ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის XI ტურში საბჭოთა გუნდმა მაქსიმალური ანგარიშით (2:0) დაამარცხა ავსტრიიის გუნდი. ახეთივე ანგარიშით იუგოსლაველებმა დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები. ამრიგად, შეჯიბრებას კვლავ ლიდერობს საბჭოთა გუნდი — 21 ქულა. 20 ქულით მას კვალდაკვალ მიჰყვება იუგოსლავია.



# ჩემპიონატის ჩრდილოვანი მხარეები

სოხუმში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ცურვაში, სადაც ძალებს ცდიდნენ საქართველოს სპორტსმენებიც, მაგრამ სამწუხაროდ, ისინი მეტად სუსტად გამოვიდნენ შეჯიბრებაზე და 6 გუნდს შორის დაიკავეს უკანასკნელი ადგილი. აღსანიშნავია, რომ წინა წლებში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ერთ-ერთ უძლიერესებად ითვლებოდნენ საზოგადოებაში, მაგრამ ახლა? როგორც ჩანს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო ნაკლებ ყურადღებას უთმობს სპორტის ამ სახეობის განვითარებას. ამას დაემატა ისიც, რომ შეჯიბრებაში მონაწილე ჩვენი სპორტსმენები გულგრილად მოეკიდნენ ღონისძიებას — მთელი ძალებით არ იბრძოდნენ გამარჯვებისათვის.

საქართველოს „დინამოს“ ისეთი ძლიერი მოცურავეებიც კი, როგორებიც არიან ლ. კრილოვა, ი. ამნიაშვილი, ნ. და ი. ჩუგუევსკაიები, ს. კრავცოვი 20-30 წამით ჩამორჩებოდნენ თავიანთ საშუალო მაჩვენებლებს, ვერ შეასრულეს პირველი თანრიგი და, ცხადია, ჩათვლა ვერ მისცეს გუნდს. მართალია, წყლის ტემპერატურა აუზში ნორმალურზე დაბალი იყო, მაგრამ ეს სუსტ შედეგებს არ ამართლებს. მაგალითად [illegible] ბას. ფაქტად ისიც კმარა, თუ ვიტყვით, რომ მათმა თანაგუნდელებმა ვ. ჩოლარიამ, ს. შაგოვამ და კ. ანისიმოვმა, ამავე პირობებში წარმატებით დაიცვეს კოლექტივის სახელი.

ეს სამი სპორტსმენი საქართველოდან შეყვანილია „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებში, რაც მცირეა, რადგან წინა წლებში ნაკრებში საქართველოს მოცურავეებს 8-10 ადგილი ეკავათ.

**ბ. კამენსკი,**
**სპორტის ოსტატი.**

# ღია სტარტი

ნაყოფიერად მუშაობს თბილისის საწყლოსნო სახეობათა ბავშვთა სპორტული სკოლა (დირექტორი გ. დათაძე). ცურვის, წყალბურთის, წყალში ხტომისა და ნიჩბოსნობის ჯგუფებში გაერთიანებულია 600-მდე ბავშვი.

ამას წინათ მოეწყო ნორჩ მოცურავეთა ღია სტარტი. შეჯიბრებაზე ბევრმა ისახელა თავი და აჩვენა სათანრიგო შედეგი. გოგონათა შორის 100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში ყველას აჯობა თბილისის მე-60 საშუალო სკოლის VIII-კლასელმა მ. ყანჩაველმა. 50 მ ბრასით ცურვაში პირველი იყო 113-ე სკოლის VII-კლასელი ე. მძინარიშვილი.

ბიჭებს შორის თავი ისახელა 53-ე სკოლის VI-კლასელმა მ. ცქიტიშვილმა. იგი პირველი იყო 50 მ დელფინისა და 100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში. კარგი მონაცემები გამოავლინეს V-კლასელმა ზ. ლეკიშვილმა, VI-კლასელებმა ვ. დავითაშვილმა, გ. შმულევიჩმა და სხვებმა.

* * *

**სურათებზე:** მარცხნივ — შეჯიბრების სტარტზე. შუაში — გოგონათა შორის გამარჯვებულნი. სხედან (მარცხნიდან) გ. ქორიძე, მ. ყანჩაველი, ე. მძინარიშვილი და ე. პროსკურინა. დგანან — ნ. სალარაძე და ვ. გვახარია. მარჯვენა სურათზე აღბეჭდილი არიან ვაჟთა ღია სტარტში გამარჯვებული (მარცხნიდან) მ. ცქიტიშვილი, ვ. დავითაშვილი და ზ. ლეკიშვილი.

ფოტო და ტექსტი ი. იუნაევისა.





# მეორედ მეორე ადგილზე

იაროსლავლში გაიმართა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრება ცხენოსნობაში.

შეჯიბრება დაიწყეს ჭაბუკებმა. ზუგდიდელმა შ. გულორდავამ ივნისში ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაზე მეორე ადგილი დაიკავა. ფოთელი დ. მალანიაც კარგად გამოვიდა ამ შეჯიბრებაზე. სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრებას ორივე სპორტსმენი კარგ სპორტულ ფორმაში შეხვდა. დაბრკოლებათა გადალახვაში რთული კლასით შ. გულორდავამ (ცხენი „ნაპორი“) 1 წუთსა და 24 წამში დაფარა მანძილი და საჯარიმო ქულების გარეშე დაამთავრა შეჯიბრება. ასეთივე შედეგი ჰქონდა ბელორუსს ვ. ვიტკოვსკის, რუსეთის ფედერაციის სპორტსმენს ი. ჩერნოვს და ესტონელ კ. ლანეტს. დაინიშნა ხელმეორე ცდა. გაიმარჯვა ი. ჩერნოვმა. 2 წამით ჩამორჩა მას შ. გულორდავა. გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა რუსეთის „უროჟაის“ გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ საქართველოს მხედრები. ჭაბუკთა შორის დაბრკოლებათა გადალახვაში „ამორჩევით“ ფოთელმა დ. მალანიამ (ცხენი „პატიოსანი“) 120 ქულა დააგროვა, მესამე ადგილზე გავიდა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ამ სახეობაში გუნდური პირველი ადგილი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს დარჩათ. ორი სახეობის შემდეგ საქართველოს გუნდმა გაუსწრო რუსეთის ფედერაციის გუნდს. შეჯიბრების უკანასკნელი სახეობა იყო დაბრკოლებათა გადალახვა „პირველ შეცდომამდე“. ამ სახეობაში თავი გამოიჩინეს რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა, საქართველოს გუნდი მესამე ადგილზე გამოვიდა, რამაც საბოლოო გამარჯვება საერთო გუნდურ ჩათვლაში ჭაბუკთა შორის რუსეთის ფედერაციის გუნდს მოუტანა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ საქართველოს მხედრები.

სამჭიდში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის პრიზიორები ვ. დოროფეევი, ვ. სისოევი, ვ. ლუშანინი (სამივე რსფსრ-დან), ე. პირი (ესტონეთი) და სხვები. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ამ სახეობაში იცავდა სპორტის ოსტატი დ. ხოფერია (ცხენი „ხაროლი“), რომელმაც წარმატებას მიაღწია: დააგროვა 5,4 ქულა, გაიმეორა სპორტის ოსტატის ნორმატივი, მეორე ადგილზე გამოვიდა და ვერცხლის მედლითაც დაჯილდოვდა. ა. მიქაელიანმა (ცხენი „პოსეიდონი“) სპორტის ოსტატის ნორმა აჩვენა და მეექვსე ადგილი დაიკავა. სამაგალითო იყო ა. ლაკერბაის (ცხენი „სინუსი“) საქციელი: შეჯიბრების მეორე დღეს მან ტრავმა მიიღო (ნეკნები დაუზიანდა), მაგრამ მაინც გამოვიდა შეჯიბრებაზე, უშეცდომოდ გაიარა დაბრკოლებები და ამით საქართველოს „კოლმეურნეს“ გუნდი მეორე საპრიზო ადგილზე გაიყვანა.

შედარებით წარუმატებლად გამოვიდნენ ჩვენი მხედრები ცხენოსნობის დანარჩენ სახეობებში. დაბრკოლებათა გადალახვაში „გახსნის პრიზზე“ ისინი მეოთხე-მეხუთე ადგილის გაყოფით დაკმაყოფილდნენ. თუმცა, მათ შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება „სამონადირო პარკურში“, სადაც ისინი ბელორუსიის გუნდის შემდეგ მეორე ადგილზე იყვნენ. პირად ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა შორის საუკეთესო იყო რ. გუგუჩია, რომელმაც მეხუთე ადგილი დაიკავა.

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა, საქართველოს „კოლმეურნის“ მხედრებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს, მესამეზე ბელორუსიის სპორტსმენები დარჩნენ.

**ა. ცეხანელი**

„კოლმეურნე“

# ზღვისპირელი ენთუზიასტები

სოფელ ზღვისპირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მარჯვენამოუღლელი მშრომელების ამაგი ერთი ათად ფასდება. დღითიდღე იზრდება არტელის ფულადი შემოსავალი. ამიტომაც არის, რომ ზღვისპირელებს გუდაუთის რაიონში ქებით იხსენიებენ, თუმცა მილიონერი კოლექტივი მიღწეულით არ კმაყოფილდება და სულ უფრო ამრავლებს სამეურნეო წარმატებებს.

შრომისმოყვარე კოლმეურნეები დიდად აფასებენ ფიზკულტურასა და სპორტს. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ ამ ორიოდე წლის წინათ მათ საკუთარი ძალებით მოაწყვეს მარტივი ტიპის ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორი... ახლა კი კოლმეურნეობის გამგეობამ დამატებითი ფულადი სახსრები გამოჰყო ახალი სტადიონის მშენებლობისათვის. კოლმეურნეებმა საქმე ისე მოაწყვეს, რომ არც პლანტაციებში ცდებიან და საკუთარი ძალებით სპორტული ბაზების მშენებლობასაც ასწრებენ. ენთუზიასტთა წყალობით სულ მალე ახალი სტადიონი მწყობრში ჩადგება და ახალგაზრდობას კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება სპორტული დაოსტატებისათვის.

სპორტული მუშაობის სული და გულია კომკავშირის კომიტეტის მდივანი, პირველთანრიგოსანი ფეხბურთელი ნ. მუმჯიანი. იგი რაიონის ნაკრების წამყვანი მოთამაშეა, ხოლო თვით გუნდი 1961-62 წლებში აფხაზეთის ჩემპიონი იყო. სპორტსმენები არც მიმდინარე გათამაშებაში ღალატობენ ტრადიციას და ასპარეზობის ლიდერები არიან. მაგრამ მთავარი ეს როდია. კომკავშირელთა წინამძღოლი ფიზკულტურული კოლექტივის ნამდვილი ორგანიზატორია, იგი ფრენბურთელებს ავარჯიშებს და სხვა სექციების ხელმძღვანელებს კარგ მაგალითს აძლევს.

არტელში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობენ ფეხბურთის, თავისუფალი და ქართული ჭიდაობის, სროლის, ჭადრაკისა და ტურიზმის სექციები.

ამ ბოლო დროს დამატებით შეძენილ იქნა სპორტული ინვენტარი და ფორმა, რამაც ახალი სიხალისე შემატა სპორტის მოყვარულებს. აქ თანრიგოსნების, ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების წლიური გეგმა უკვე განკლდებულია და ახლა აღებული ვალდებულების გადაჭარბებით შესრულებისათვის იბრძვიან.

**თ. ქართველიშვილი**

# საჩხერე

ილია ჭავჭავაძის სახელობის საჩხერის მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ჯიხორია) სათანადო სიმაღლეზე დგას მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმე.

სკოლაში ჩამოყალიბებულია სპორტული სექციები: ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, ფეხბურთისა და ჭადრაკის წრეებში მუშაობა ტარდება კვირაში ერთხელ, გამოცდილი სპორტსმენებისა და თანრიგოსნების მიერ, რომლებსაც საერთო ზედამხედველობას უწევენ ამ სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები ა. ზაბახიძე და ლ. იაკობაშვილი.

სკოლის ფიზკულტურის კოლექტივის აქტივშია მრავლად მოპოვებული პრიზები და თასები.

19 სექტემბერს სასიხარულო ამბავი მოხდა — აღნიშნულმა სკოლამ საზეიმო ვითარებაში მიიღო ვ. მარლანიას სახელობის თასი ფეხბურთში პირველი ადგილის მოპოვებისათვის. დღეისათვის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჩხერის მე-2 საშუალო სკოლას ორი პრიზი და ოთხი თასი აქვს მიღებული რაიონული სპორტკავშირისა და ალკკ რაიონული კომიტეტისაგან.

**ა. ანასაშვილი**

# სპორტულ საზოგადოებებში

# შეჯიბრება საიუბილეო იქნება

ამას წინათ ფოთში გაიმართა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს 1963 წლის საიუბილეო პირად-გუნდური პირველობა აკრობატიკაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა ბავშვთა 18 გუნდი.

გოგონათა შორის ოსტატთა პროგრამით ხტომით ვარჯიშებში გამარჯვებული გამოვიდა მოსკოველი გ. იუსოვა, რომელმაც დააგროვა 72,05 ქულა. მოზრდილთა პირველ თანრიგში უძლიერესი აღმოჩნდა ბელორუსიის წარმომადგენელი ლ. ზდანიუკი — 74,75. აქ 18 მონაწილეს შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ნ. კილაძემ მეხუთე ადგილი დაიკავა.

ჭაბუკთა შორის ოსტატთა პროგრამით მხოლოდ ერთი სპორტსმენი გამოდიოდა. ეს იყო ბელორუსელი ვ. ზიაგმაცევი, რომელმაც დააგროვა 72,8 ქულა და შეასრულა ოსტატობის ნორმა. პირველ თანრიგში გამოდიოდა 12 სპორტსმენი, რომელთაგან უძლიერესი კვლავ ბელორუსელი ა. ზდანიუკი აღმოჩნდა (72.45). ჭაბუკთა წყვილებში, რომლებიც ასრულებდნენ მოზრდილთა პირველი თანრიგის ვარჯიშებს, ცენტრალური საბჭოს 1963 წლის ჩემპიონები გახდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ა. თედეევი და ა. სლივკოვი, რომლებმაც შესაბამისად დააგროვეს 70,5 და 72,0 ქულა — სულ 142,5 ქულა. ჯგუფურ ვარჯიშებში გამარჯვებული გამოვიდა უკრაინის ოთხეული: ი. კუზნეცოვი, ა. იაკუბოვი, ა. ნევოკინი და დ. დნრი. სამეულებში, ჭაბუკთა პირველი თანრიგის პროგრამაში, გაიმარჯვა ლენინგრადის გუნდმა. ამავე თანრიგში ხტომით ვარჯიშებში პირველი იყო ლატვიელი გ. დულინსკი.

აღნიშნული ასპარეზობის პარალელურად აქვე მიმდინარეობდა საბჭოთა აკრობატიკის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ასპარეზობა მოზრდილთა შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის პირველობათა პრიზიორები, საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულნი და ცენტრალური საბჭოს გასული წლის ჩემპიონები.

ჯგუფურ ვარჯიშებში ჩემპიონის წოდება მოიპოვა ომსკის ოსტატთა ოთხეულმა გ. ერმოლაევის, ტ. სედინის, ვ. ალექსეევისა და ნ. გრიშჩენკოს შემადგენლობით. ვაჟთა წყვილებში გამარჯვება წილად ხვდათ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს გ. დავიდოვსა და თ. ხუდოევს — 148,8 ქულა.

შერეულ წყვილებში უძლიერესნი იყვნენ მოსკოველები ა. შეპილოვი და კ. დანილოვა — 147,25.

ხტომით ვარჯიშებში თავიდანვე კარგი სტარტი აიღო საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა ვ. ლტვინომამ, რომელმაც 75,7 ქულით მეორედ მოიპოვა ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა.

3 ოქტომბრიდან „შრომითი რეზერვების“ აკრობატთა ნაკრები გუნდი წვრთნას გადის ფოთში, 15 ოქტომბერს იგი ესტუმრება თბილისს, სადაც 24 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნება საბჭოთა კავშირის გუნდური საიუბილეო პირველობა სპორტსაზოგადოებათა კოლექტივებს შორის.

**მ. ქელეხსაშვილი,**
**სპორტის ოსტატი, სსრკ დამსახურებული მწვრთნელი.**

# გადამწყვეტი ბრძოლების წინ

სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელიც თბილისში ტარდება, პირადია. ეს გარემოება თითქოს უფრო საინტერესოს უნდა ხდიდეს ტურნირს, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ არის. მოჭიდავეები, რომლებიც კარგავენ საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლის შანსს, ნახევარფინალამდე ტოვებენ გათამაშებას და ამით ამცირებენ ბრძოლის სიმძაფრეს. ჯერ გარკვეული არც კი იყო ნახევარფინალისტთა გვარები, რომ პირველობას სხვადასხვა მიზეზის გამო გამოაკლდა 20-მდე მოჭიდავე. ეს საკმაოდ დიდი ციფრია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ტურნირში 80 სპორტსმენი გამოდის.

ჩით შეიძლებოდა ასეთი არანორმალური მდგომარეობის თავიდან აცილება? უბრალო ამბით. ჩემპიონატი უნდა ყოფილიყო პირად-გუნდური. ასეთ შემთხვევაში მოჭიდავე ზრუნავს არა მარტო საკუთარი შედეგისათვის, არამედ თავგამოდებით იბრძვის გუნდის ინტერესებისთვისაც. წარსულში მოწყობილმა პირად-გუნდურმა ტურნირებმა გვიჩვენა, რომ სპორტსმენი ტრავმის შემდეგაც კი განაგრძობდა ბრძოლას, ისეთ დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა მას კოლექტივის პრესტიჟი.

ჩემპიონატში დარჩენილი სპორტსმენები, განსაკუთრებით ისინი, ვინც ინარჩუნებენ ნახევარფინალში გასვლის შანსებს, იბრძვიან თავგამოდებით, მთელი მონდომებით და ეს არც არის გასაკვირი. ნახევარფინალი ხომ უმოკლესი გზაა იმ სანუკვარი მიზნისაკენ, რომელიც ყოველ სპორტსმენს ფარულად უდევს გულში.

ტურნირის მთავარი სენსაცია მეოთხე წრეში იყო საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონის (ქვესაშუალო წონაში) ე. გლარიოზოვის დამარცხება. სიურპრიზის ავტორი გახდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ზ. ყანჩაშვილი, რომელმაც ქულებით სძლია ტიტულიან ჩემპიონს. მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა ა. მარტყოფლიშვილმა, რომელმაც ასევე ქულებით დაამარცხა ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი ო. სტეპანოვი.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ა. ყაჩმაზოვისა და ვ. ბონდარენკოს ორთაბრძოლა. შეხვედრის დამთავრებას წუთნახევარი უკლდა, როცა ყაჩმაზოვი აგებდა ნახევარი ქულით. ბონდარენკოს პასიურობისათვის მსაჯებმა გაფრთხილება მისცეს და იმავე წამს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ქულა აართვა მეტოქეს. ამან მას დამსახურებული გამარჯვება მოუტანა.

ნახევარფინალური შეხვედრების წინ ლიდერთა შორის მდგომარეობა ასეთია: უმძიმეს წონაში სამსამი ბრძოლა აქვთ მოგებული ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ლ. კაციაშვილს, ა. ყაჩმაზოვს, ჩ. ქუცნიაშვილს. კარგი შანსები აქვთ ბ. კარნიუშინს (გასული წლის ჩემპიონს) და ახალგაზრდა მოჭიდავეს (1945 წელში დაბადებულს) ა. სერდეჩკინს.

ქვემსუბუქ წონაში უკეთესი მდგომარეობა აქვთ ძმებს ი. და ს. კურდოვებს, ა. მარტყოფლიშვილს და ა. ილიუშინს (ეს უკანასკნელი 4 გამარჯვებითაა).

ქვესაშუალო წონაში ე. გლარიოზოვთან გამარჯვების შემდეგ მთავარი ფავორიტი გახდა ზ. ყანჩაშვილი, რომელიც წლევანდლამდე მსუბუქ წონაში გამოდიოდა. სამი მოგება (მაგრამ სამივე ქულებით) აქვს საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ც. ზუბაირაევს.

ქვემძიმე წონაში წარმატებით გამოდის ა. ზურაბაული. მას ჯერ არ მიუღია არც ერთი საჯარიმო ქულა. მოსკოველ ა. იუდინს აქვს 1 საჯარიმო ქულა, ხოლო საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა დ. ბერუაშვილმა სამი შეხვედრა ქულებით მოიგო.

ჩემპიონატი დღეს დამთავრდება.

**ქ. ნინიაშვილი,**
**სპორტის ოსტატი,**
**ნ. ახვლედიანი.**

• • •



**სურათზე:** ა. ზურაბაული (ზემოდან) მტკივნეულ ილეთს უტარებს მოწინააღმდეგეს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# მეგობრობის დევიზით

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა 3 უნივერსიტეტის — თბილისის, ერევნისა და ბაქოს სტუდენტთა მეგობრულ შეხვედრებს დევიზით — „მეგობრობა!“ პირველი შეხვედრა თბილისში შედგა.

გასულ შაბათს ჩატარდა თეორიული კონფერენცია. მოსმენილ იქნა მოხსენებები და ლექციები. კვირა დღე კი სპორტულ შეხვედრებს დაეთმო. შეხვედრები ჩატარდა ფრენბურთსა და კალათბურთში.

თბილისის უნივერსიტეტის ფრენბურთელ ქალთა გუნდმა სძლია ერევნელ სტუდენტებს მშრალი ანგარიშით—3:0. ერევნელებმა წააგეს კალათბურთში შეხვედრაც თბილისის ვაჟთა გუნდთან — 59:90. დაძაბული გამოდგა შეხვედრები აზერბაიჯანელ სტუდენტებთან. თბილისელმა სტუდენტებმა მხოლოდ მეხუთე გადამწყვეტ პარტიაში სძლიეს ბაქოელ ფრენბურთელებს. ამავე ქალაქების კალათბურთელ ვაჟთა შეხვედრაში ანგარიშია 56:44 თბილისელთა სასარგებლოდ.

**ბ. ჩიკვაიძე**

# ?გვეკითხებიან,? ვპასუხობთ!

**ჩვენი გაზეთის მკითხველები — ნ. ზაუტაშვილი, ც. თავაძე და სხვები მოგვმართავენ კითხვით: „არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დასავლეთში ხმაური იყო ატეხილი ე. წ. კოლუმბის მეორე მოგზაურობის, ამერიკის ახალი აღმოჩენის გეგმების შესახებ, რომლებიც ვიღაც ესპანელ მეზღვაურს შეუმუშავებია. შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ეს მოგზაურობა დაიწყო კიდეც მაგრამ, როგორ დამთავრდა იგი? რა ბედი ეწიათ XX საუკუნის კოლუმბებს?“**

## კოლუმბის მოგზაურობა... XX საუკუნეში



კოლუმბი გამგზავრებიდან მეექვსე კვირას მიადგა პირველ ამერიკულ მიწას — კუნძულ სან-სალვადორს. „XX საუკუნის კოლუმბი“ — ესპანეთის ფლოტის ლეიტენანტი კარლოს ეტაიო მხოლოდ მე-11 კვირას მიადგა იმავე სან-სალვადორს. თანაც, ეკიპაჟი ისეთ სავალალო მდგომარეობაში იყო, რომ კუნძულთან ნახევარ მილზე მიახლოებულმა ვერ შეძლო წინააღმდეგობა გაეწია პირქარისათვის, რომელმაც მომდევნო დღეს 15 მილით მოაშორა ნაპირს. მაშინ ჩვენი დროის „კოლუმბმა“ მიაფურთხა ისტორიისადმი ერთგულებას და კოკბურნის ნავსადგურიდან მაშველი ბუქსირი ითხოვა...

ასე კურიოზულად დამთავრდა გახმაურებული „კოლუმბის მოგზაურობა XX საუკუნეში“.

მაგრამ აღნიშნულ მოგზაურობას ავანტურისტული, მსუბუქი მომბაძველობითი და ანგარებიანი ხასიათის გარდა თან ახლდა გარკვეული საინტერესო მომენტებიც, რომლებზე შეჩერებაც ღირს.

საინტერესოა, მაგალითად, აღინიშნოს, რომ მოგზაურობა უკანასკნელი პუნქტის (მაშველი ბუქსირის) გამოკლებით, მიმდინარეობდა თითქმის მთლიანად XV საუკუნის პირობების დაცვით, რომლებშიც მოხდა ამერიკის აღმოჩენა კოლუმბის მიერ. საამისოდ სპეციალურად იქნა არქივიდან ამოღებული მასალები, რომელთა მიხედვით აგებულ იქნა კოლუმბის ექსპედიციის ყველაზე უფრო პატარა ხომალდის — „ნინას“ ზუსტი ასლი — 17-მეტრიანი „ნინჩა-II“. ხომალდი აღიჭურვა მხოლოდ XV საუკუნის სანავიგაციო ხელსაწყოებით და ასე გასინჯეთ, ეკიპაჟის წევრთა ჩაცმულობაც და მის მიერ წაღებული სურსათის რაობაც ზუსტად ესატყვისებოდა იმავე საუკუნის კოლორიტს.

მაგრამ განსხვავებას კოლუმბისა და ეტაიოს მოგზაურობათა პირობებს შორის მაინც ჰქონდა ადგილი. და ეს განსხვავება მიუთითებს სწორედ „XX საუკუნის კოლუმბის“ ჩანაფიქრის ავანტურისტულ, ზერელე ხასიათზე, რომელიც ადვილი შესაძლებელი იყო საფუძვლად დადებოდა ამ მოგზაურობის ტრაგიკულ ფინალს. საქმე ისაა, რომ კოლუმბმა თავისი დიდი მოგზაურობისათვის შეარჩია წელიწადის ყველაზე უფრო მშვიდი დრო, როცა ოკეანეზე ნაკლებად ბობოქრობენ ქარიშხლები. „ნინია-II“ კი ამერიკისაკენ გაემგზავრა რამდენიმე კვირით გვიან, როცა ატლანტიკა შედის მძაფრი ქარტეხილებისა და ღელვის პერიოდში.

სწორედ ამ ქარიშხლებმა დაატეხეს თავს თანამედროვე კოლუმბებს ყველა უბედურება მას შემდეგ, რაც „ნინია-II“ აფრიკის მახლობელ ნავსადგურ ლას-პალმასიდან გავიდა ღია ოკეანეში. პირველივე ღელვის შემდეგ დასველდა სურსათი, რომელმაც ლპობა იწყო, გატყდა ქვიშის საათი, რომლითაც კოლუმბის დროს ანგარიშობდნენ გეოგრაფიულ გრძედს. მალე ტრიუმში ხვრელი გაჩნდა და წყალმა იწყო დენა. მან კინაღამ შეიწირა შტურმან რობერტ მარქსის მარჯვენა ხელი, რომლითაც ამ უკანასკნელმა წყლის შეჩერება სცადა. ერთი ქარიშხლიდან მეორემდე დამშეული ეკიპაჟი მხოლოდ იმას უნდებოდა, რომ შეეკეთებინა დაზიანებული ნაწილები. დასასრულს უახლოვდებოდა წყლის მარაგიც. კარგა ხანია უკან დარჩა ვადა, რომელშიც კოლუმბმა მიაღწია „ახალ მიწას“. გადიოდა დღეები, კვირეები. ეკიპაჟმა გაშმაგებით შესანსლა ლას-პალმასიდან თან წაყვანილი, ერთ დროს ყველასათვის საყვარელი თხა „პინსონა“, ხოლო კატის კნუტი „ლინდა“, რაღაც საეჭვო პირობებში გაქრა ხომალდიდან. ყოველ შემთხვევაში, იგი ზღვის თაგვებზე სანადიროდ ვერ წავიდოდა ოკეანის სიღრმეებში და ვერც თავისი შორეული ნათესავის, ზღვის კატის ნახვის სურვილი დასძლევდა.

77-ე დღე თითქმის ბედნიერი აღმოჩნდა ახალი „კოლუმბებისათვის“. ისინი ნახევარ მილზე მიუახლოვდნენ კუნძულ სან-სალვადორს და სწორედ აქ ამოვარდა პირქარი, რომელმაც ისინი აიძულა, ბოლოსდაბოლოს დაბრუნებოდნენ XX საუკუნეს და მის მხსნელ კალთას ჩაბღაუჭებოდნენ ორივე ხელით...

აი რატომ მიწყნარდა სენსაციური აურ-ზაური, რომელიც აღნიშნული მოგზაურობის დასაწყისს ახლდა თან.

ამერიკელი სენატორი კეფოვერი უკვე დიდი ხანია ხელმძღვანელობს სპეციალურ კომისიას, რომელიც არკვევს პროფესიული კრივის მდგომარეობას ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამას წინათ ამერიკელ სენატორს საუბარი ჰქონდა მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონთან სონი ლისტონთან. ეს საუბარი გამოქვეყნებული იყო ამერიკული გაზეთების ფურცლებზე.



# პასუხი სენატორს

**კეფოვერი:** როგორი აღზრდა მიიღეთ?

**ლისტონი:** არავითარი!

**კეფოვერი:** რას ნიშნავს არავითარი! თქვენ არასდროს გისწავლიათ სკოლაში?

**ლისტონი:** არასდროს, სერ.

**კეფოვერი:** ამის საშუალება არ გქონდათ?

**ლისტონი:** ძალზე ბევრნი ვიყავით.

**კეფოვერი** რამდენი ბავშვი იყო თქვენს სახლში?

**ლისტონი:** მამაჩემს 25 შვილი ჰყავდა.

**კეფოვერი:** თქვენ უნდა გემუშავნათ, რომ გამოგეკვებათ დანარჩენი 24 ბავშვი?

**ლისტონი:** დიახ, ეს ასეა.

**კეფოვერი:** რას აკეთებდით?

**ლისტონი:** ბამბას ვკრეფდი.

შემდეგ საუბრიდან ირკვევა, რომ ლისტონმა თავისი მშობლიური ქალაქი ლიტლ-როკი მშობლებთან ერთად დატოვა მაშინ, როცა 13 წლის იყო. ისინი ჩავიდნენ სენ-ლუისში, სადაც მამა ცდილობდა ლისტონი სკოლაში მიებარებინა. აი რა თქვა ამის შესახებ ლისტონმა: „სხვა ბავშვები დამცინოდნენ, როცა პირველ კლასში ამოდენა აბმახი მნახეს. უფროსი კლასების მოსწავლეთა დაცინვას მუშტებით ვპასუხობდი. როცა ერთ-ერთი მათგანი ვცემე, სკოლიდან პირდაპირ ციხეში მოვხვდი, სადაც აგრეთვე ხშირად მიხდებოდა ჩხუბი, როცა სატუსაღოში რამდენიმე პატიმარი ვცემე, მიმიღეს ციხის მოკრივეთა გუნდში“.

კითხვაზე მეორედ დაპატიმრების შესახებ, ლისტონმა უპასუხა: „ზუსტად არ მახსოვს თარიღი, ხელმეორედ დამაპატიმრეს. ფანქარს არ ვატარებ, რომ ჩამეწერა. ძალზე ხშირად მაპატიმრებდნენ. ფანქარი, რომ მქონოდა მაინც ვერაფერს ჩავწერდი“.

**კეფოვერი:** თქვენ შეგიძლიათ წიგნის წაკითხვა?

**ლისტონი:** არა, არ შემიძლია.

**კეფოვერი:** თქვენს სახელს დამიწერთ?

**ლისტონი:** დიახ, დაგიწერთ.

**კეფოვერი:** მისამართს?

**ლისტონი:** ვერა!

დასასრულს სენატორი ეკითხება იმის შესახებ, რომ ლისტონს თუ შეუძლია ციფრების' წაკითხვა. „წარმოიდგინეთ, რომ თქვენი შემოსავლის ნაწილი შეადგენს 25000 დოლარს, თქვენ გაძლევენ ამ თანხაზე ქვითარს, შეგიძლიათ თუ არა გაარკვიოთ მართლა სწერია თუ არა 25000 ათასი ქაღალდზე?

**ლისტონი:** არა!

**კეფოვერი:** ესე იგი, თქვენ სხვა ადამიანზე ხართ დამოკიდებული.

**ლისტონი:** დიახ, ეს ასეა.

**„ახალი ამბების“ სააგენტო.**



# ახალი იმედი



ეს მოხდა 1949 წლის 4 მაისს. ფეხბურთის სამყარო შეაძრწუნა ტრაგიკული კატასტროფის ამბავმა, იტალიაში გამოცხადდა საქვეყნო გლოვა. ფეხბურთის მოყვარულთა განუზომელი მწუხარება გულწრფელად გაიზიარა მთელმა იტალიამ. ამ დღეს დაიღუპა მსოფლიოში ერთ-ერთი უპოპულარესი საკლუბო გუნდი, იტალიის მრავალგზის ჩემპიონი „ტურინო“, რომელიც ბრუნდებოდა ლისაბონიდან თვითმფრინავით. კატასტროფის ადგილას ტურინის მისადგომებთან დაამთავრა სიცოცხლე 18-მა ფეხბურთელმა, რომელთაგან 10 იტალიის ეროვნული ნაკრების წევრი იყო. დაღუპულთა შორის აღმოჩნდა იტალიის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, ეროვნული ნაკრების ბურჯი — ვალენტინო მაცოლა.

ამ ტრაგიკულმა ამბავმა დიდი ხნით დასწია უკან იტალიური ფეხბურთის დიდება. ტემპერამენტიანმა მაყურებლებმა დაკარგეს ხალისი და ინტერესი ფეხბურთისადმი. დაღუპულთა სახელები ლეგენდის შარავანდედით შეიმოსა, თუმცა ნელ-ნელა გაუფერულდა და ბოლოს დავიწყებას მიეცა.

და აი, ამ ცოტა ხნის წინ, იტალიის ჟურნალ-გაზეთებში ხელახლა გამოჩნდა ერთ დროს პოპულარული გვარი მაცოლა. ამჯერად იგი ეკუთვნის 21 წლის ახალგაზრდას სანდრინოს, სახელგანთქმულ ვალენტინოს შვილს. სანდრინო მაცოლა დაიბადა 1942 წლის 8 ნოემბერს ტურინში. სულ მალე ცნობილი ფეხბურთელის ოჯახი საცხოვრებლად მილანში გადავიდა და პატარა სანდრინო გახდა პოპულარული კლუბის „ინტერნაციონალეს“ თილისმა. იგი, როგორც წესი, ყველგან დაყვებოდა გუნდს. თამაშის დროს სანდრინო მოედანზე იყო, მატჩის დაწყებისა და შესვენების დროს კი ფეხბურთელებთან გასახდელში.

1956 წელს სანდრინო მაცოლა გადაის მეორე პოპულარული ფეხბურთელის ჯუზეპე მეაცას მეთვალყურეობაში, რომელიც იმ ხანებში წვრთნიდა „ინტერნაციონალეს“ ახალგაზრდა ფეხბურთელებს. მეაცამ დიდი როლი ითამაშა სანდრინოს, როგორც ფეხბურთელის ჩამოყალიბებაში. მან შეაჩვია ახალგაზრდა მაცოლა ბურთის გაუთავებელ ტარებას და კომბინაციური თამაშისადმი ინტერესი გაუღვივა. მაგრამ სანდრინო მალე ტოვებს „ინტერნაციონალეს“. 1957 წელს მას უთანხმოება მოუვიდა გუნდის ხელმძღვანელებთან და გადავიდა პროვინციულ კლუბში „მილანეზეში“. აქ მაცოლამ თავი გამოიჩინა, როგორც ჩამოყალიბებულმა ფეხბურთელმა და მეაცამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ნიჭიერი ჭაბუკი უკან დაებრუნებინა.

სანდრინო მაცოლას თქმით იგი ფეხბურთელი გახდა 1962 წლის 11 აპრილს, როდესაც ელენიო ერერამ, „ინტერნაციონალეს“ მაშინდელმა მწვრთნელმა, პირველად დააყენა იგი გუნდის ძირითად შემადგენლობაში „ბარსელონასთან“ თამაშის დროს. მაცოლა გახდა იმ ერთადერთი ბურთის თანაავტორი, რომელიც გაიტანა პიტჩენსმა.

„ბარსელონასთან“ მატჩის 4 დღის და მამის დაღუპვის 13 წლის შემდეგ მაცოლამ პირველად მიიღო მონაწილეობა ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში. მაცოლა გახდა „ინტერის“ თავდასხმის სრულუფლებიანი წევრი და სათადარიგოთა სკამზე დასვა ცნობილი არგენტინელი ფორვარდი მასხიო. გავიდა ჩანიც და დადგა სანდრინოს საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლის დღეც. 1963 წლის 12 მაისს მაცოლას მოუხდა მსოფლიო ჩემპიონის, ბრაზილიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ თამაში.

სანდრინო მაცოლა იტალიის ეროვნული ნაკრების წამყვანი თავდამსხმელია, რომელიც თავისი გუნდის ღირსებას დაიცავს მოსკოვში 13 ოქტომბრის მატჩში, საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ.

• • •

**სურათებზე:** თქვენ ხედავთ მაცოლების ორ თაობას: სანდრინოს და ვალენტინოს. პატარა სანდრინოს ეძლევა პირველი ბურთის დარტყმის უფლება. იგი პას აწვდის მამას.

**რედაქტორი ი. უგულავა.**




ლ. ტაბო

★

— სუფთა პენალტი იყო!

— არ იყო პენალტი!

— იყო!

— პავლინკამ წააქცია შინკო.

— როგორ არა, ვერ მოგართვეს!

— წააქცია!

— არ წაუქცევია!

— მაშასადამე, თქვენ ფეხბურთში ვერ ერკვევით.

— თუ თქვენ იმას ამბობთ, რომ ფეხბურთში ვერ ვერკვევი, მაშასადამე, თქვენ თვითონ არა გესმით რა ფეხბურთისა.

— იქნებ შინკომ წააქცია პავლინკა?

— სწორედ აგრე იყო!

— თქვენ კრეტინი ხართ.

— კრეტინი მე კი არა, თქვენა ხართ.

— ვფიცავ ჩემი ძვირფასი დედის ხსოვნას, სუფთა პენალტი იყო.

— არა და არა! შინკომ წიხლი ჩაჰკრა პავლინკას.

— ბოთე!

— მე?

— თქვენ.

— მაშასადამე, თქვენი აზრით, პავლინკამ წააქცია შინკო?

— კი.

— იდიოტო! შინკომ წააქცია პავლინკა.

— არა!

— ჰო!

— არა!

— პავლინკამ წიხლი ჩაჰკრა შინკოს.

— მაგრამ, პირველად შინკომ დაუდო ფეხი პავლინკას.

— ვინც მაგას იტყვის, გრძელყურაა.

— გრძელყურას ხმა მესმის.

— თქვენ პირუტყვი ხართ.

— მე? შე შეპრენტილო!

— პავლინკამ წააქცია შინკო.

— ტყუილია.

— ვფიცავ!

— მეც!

— მე უფრო მეტად ვფიცავ!

— შინკომ პირველმა დაიწყო არევა.

— გეუბნები, პავლინკამ იუხეშა, ნაღდი პენალტი იყო.

— არ იყო პენალტი.

— იყო!

— არავითარ შემთხვევაში! თქვენ რომელი ტრამვაით მიდიხართ?

— 67-ით.

— იცით რა, 44-ით წავიდეთ და გზაში კიდევ ცოტახანს წავისაუბროთ მეგობრულად ამ საინტერესო მატჩზე.





9

ოქტომბერი

საქართველო —

პოლონეთი

დასაწყისი 19 ს. 30 წ.


# თავისუფალი ჭიდაობა



ЛЕЛО ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.

დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00731